ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

# “საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში”

კვლევა განხორციელდა პროექტ "**საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge**“-ფარგლებში, **ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“** მხარდაჭერით. **კვლევა განხორციელდა 2013 წლის აპრილის თვეში საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით.**

*კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლებელია არ გამოხატავდეს ფონდ **„ღია საზოგადოება-საქართველოს“** პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ბიულეტენის შინაარსზე.*

# შინაარსი


შესავალი ..... 3

საჯარო სამსახურში დასაქმებულები ..... 6

- დასაქმებულ თანამშრომელთა სტატისტიკური მონაცემები გენდერულ ჭრილში ..... 10
- ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ თანამშრომელთა გენდერული მდგომარეობა ..... 14
- დასაქმებულ თანამშრომელთა ასაკი გენდერულ ჭრილში ..... 18
- მრავალშვილიანი თანამშრომლების სტატისტიკა გენდერულ ჭრილში ..... 20

განთავისუფლებული თანამშრომლები ..... 23

- განთავისუფლებული თანამშრომლების სტატისტიკა გენდერულ ჭრილში ..... 28
- ხელმძღვანელობის ინიციატივით განთავისუფლებული თანამშრომლების სტატისტიკა გენდერულ ჭრილში ..... 32
- საკუთარი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებულ თანამშრომელთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში ..... 34
- განთავისუფლებული თანამშრომლების მიერ შეტანილი ადმინისტრაციული საჩივრები გენდერულ ჭრილში ..... 36

თანამშრომელთა შვებულება ..... 38

- ანაზღაურების გარეშე შვებულებით მოსარგებლე თანამშრომლების სტატისტიკა გენდერულ ჭრილში ..... 39
- ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით მოსარგებლე თანამშრომლების სტატისტიკა გენდერულ ჭრილში ..... 40
- ანაზღაურების გარეშე დეკრეტული შვებულებით მოსარგებლე თანამშრომლების სტატისტიკა გენდერულ ჭრილში ..... 42

დასკვნა ..... 44

# შესავალი

2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომლის მიზანია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. „გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის“ მე-6 მუხლის მიხედვით, რომელიც უკავშირდება გენდერულ თანასწორობას შრომითი ურთიერთობებისას, სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას ორივე სქესის პირთათვის.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) წინამდებარე კვლევის ფარგლებში შეეცადა გაერკვია რამდენად დაცულია საქართველოს საჯარო დაწესებულებებში შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობა, თანაბარ პირობებში მიმდინარეობს თუ არა საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო მოსამსახურეთა, როგორც რიგით, ასევე ხელმძღვანელ პოზიციებზე მიღება და განთავისუფლება.

საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემებიდან გამომდინარე, ინსტიტუტის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა, იმის დადგენა თუ რამდენად უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობით ორივე სქესის საჯარო მოსამსახურეებისათვის შობადობის ხელშეწყობა.

„გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-5 მუხლის მიხედვით საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში შეტანილი უნდა იქნას სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები. შრომით ურთიერთობებში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული მონაცემების გასარკვევად ინსტიტუტმა მიმართა საქართველოს **175 საჯარო დაწესებულებას**. თითოეულ მათგანს გაეგზავნა იდენტური შინაარსის ცამეტი შეკითხვა, შემდეგი შინაარსის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით:

1. *დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);*

2. *ხელმძღვანელ პოზიციებზე (განყოფილების უფროსი და ზემოთ) დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);*

3. *ხელმძღვანელობის მიერ განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);*

4. *ხელმძღვანელობის მხრიდან ხელმძღვანელ პოზიციებიდან (განყოფილების უფროსი და ზემოთ) განთავისუფლებულ თანამშრომლების რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);*

5. *პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);*

6. *ხელმძღვანელ პოზიციებიდან (განყოფილების უფროსი და ზემოთ) პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებულ თანამშრომლების რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);*

7. *რამდენმა თანამშრომელმა ისარგებლა უხელფასო შვებულებით გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);*

8. *რამდენმა თანამშრომელმა ისარგებლა ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);*

9. *რამდენმა თანამშრომელმა ისარგებლა აუნაზღაურებდი დეკრეტული შვებულებით გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);*

10. *დასაქმებულთა საშუალო ასაკი გენდერულ ჭრილში;*

11. *დასაქმებულთა შორის 3 და მეტი შვილის მშობელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);*

12. *2008-2013 წლებში დათხოვნილ/გათავისუფლებულ თანამშრომელთა მიერ (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობის მითითებით) შემოტანილ ადმინისტრაციულ საჩივრების რაოდენობა;*

13. *დათხოვნილ/გათავისუფლებულ თანამშრომელთა მიერ (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობის მითითებით) შემოტანილ ადმინისტრაციულ საჩივრებზე მათ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებების რაოდენობა (2008-2013 წლები).*

გაგზავნილი **2275 მოთხოვნიდან**, ინსტიტუტმა სრულყოფილი პასუხი მიიღო **1789** მათგანზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული **96** მოთხოვნაზე, უარს ადგილი ჰქონდა **3** შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა **147** მოთხოვნა, ხოლო **240** შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ მათ არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია.




წინამდებარე კვლევაში სრულყოფილად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოდგენილი იქნება ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს 175 საჯარო დაწესებულებაში დღეის მდგომარეობით არსებულ გენდერულ თანასწორობასთან.

# საჯარო სამსახურში დასაქმებულები

„საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის“ მიხედვით, საჯარო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. საჯარო მოსამსახურის სახეებია: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, მოხელე, დამხმარე მოსამსახურე და შტატგარეშე მოსამსახურე. მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა საშტატო თანამდებობაზე. მოხელეები იყოფიან სახელმწიფო მოხელეებად და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად.

**საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ინსტიტუტმა სრულყოფილად მიიღო 166 საჯარო დაწესებულებიდან. როგორც მიღებული დოკუმენტაციიდან ირკვევა საქართველოს 166 საჯარო დაწესებულებაში სულ დასაქმებულია 74 532 პირი, რომელთაგან ხელმძღვანელ პოზიციებზე (განყოფილების უფროსი და ზემოთ) იმყოფება 8714 საჯარო მოსამსახურე. 74 532 საჯარო მოსამსახურიდან 25 703 პირი დასაქმებულია სამინისტროების ცენტრალურ და სახელმწიფო მინისტრების აპარატებში, 30 644 პირი - საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში, 10 421 პირი - ადგილობრივ თვითმმართველობებში, ხოლო დანარჩენი 7764 პირი საქართველოს სხვა საჯარო დაწესებულებებში.**



„საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის“ მიხედვით სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებული მოხელეების მინიმალური ასაკი შეიძლება იყოს 21 წელი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების - 18 წელი. საჯარო დაწესებულებებისთვის ყველაზე პრობლემატური აღმოჩნდა მოთხოვნა დასაქმებულთა საშუალო ასაკის შესახებ, რადგან ხშირ შემთხვევაში პასუხისმგებელი პირების მიერ ვერ ხერხდებოდა საკუთარ თანამშრომელთა ასაკის საშუალო არითმეტიკულის მოწოდება, რაც ინსტიტუტს არ აძლევდა საშუალებას, გაეგო კონკრეტულ დაწესებულებაში დასაქმებული თანამშრომლების საშუალო ასაკი.

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა

GEORGIA. MESTIA MUNICIPALITY OF ADMINISTRATION

№307 11.04.2013 წ.

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი

თქვენი 01.04.2013 წლის OPD 04/13-030 წერილის პასუხად გენდერულ ჭრილში გაცნობებთ შემდეგი სახის ინფორმაციას:

10. დასაქმებულთა საშუალო ასაკი მამაკაცებში 26-წლიდან 60-წლამდე, ქალბატონებში 25-წლიდან 70-წლამდე.

სრულყოფილი ინფორმაცია, დასაქმებულთა საშუალო ასაკის შესახებ ინსტიტუტს გააჩნია 31 207 საჯარო მოსამსახურეზე, რაც შეადგენს **38,4 წელს.**

საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული თანამშრომლების საშუალო ასაკი დაწესებულებათა სახეების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად:

| დასაქმებულები დაწესებულების სახეების მიხედვით | საშუალო ასაკი |
|---|---|
| სამინისტროების ცენტრალურ და სახელმწიფო მინისტრების აპარატებში | **38,6** |
| სსიპ-ებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში | **37,9** |
| ადგილობრივ თვითმმართველობებში (მერია, გამგეობა) | **39,2** |
| სხვა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულები | **37,8** |

საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემების გათვალისწინებით, ინსტიტუტის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული მრავალშვილიანი საჯარო მოსამსახურეების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომლების შვილების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ინსტიტუტმა მიიღო 64 348 თანამშრომელზე. **მიღებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული 64 348 პირიდან 3 და მეტი შვილის მშობელი გახლავთ მხოლოდ 5 139 ადამიანი.**




დაწესებულების სახეების მიხედვით, როგორც ირკვევა, **პროცენტულად ყველაზე მეტი მრავალშვილიანი მშობელი დასაქმებულია ადგილობრივ თვითმმართველობებში - 11,1 %**. სამინისტროების ცენტრალურ და სახელმწიფო მინისტრების აპარატებში დასაქმებული თანამშრომლების 7,8% არის მრავალშვილიანი, სსიპ-ებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში - 7,2 % , ხოლო სხვა საჯარო დაწესებულებებში - 6,8%.


საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული მრავალშვილიანი მშობლები
7.8%
7.2%
11.1%
6.8%
სამინისტროების ცენტრალურ და სახელმწიფო მინისტრების აპარატებში
სსიპ-ებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში
ადგილობრივ თვითმმართველობებში (მერია, გამგეობა)
სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულები

## დასაქმებულ თანამშრომელთა სტატისტიკური მონაცემები გენდერულ ჭრილში

„გენედერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-6 მუხლის მიხედვით სახელმწიფო ხელს უწყობს დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას ორივე სქესის პირთათვის. **დღევანდელი მდგომარეობით, საჯარო დაწესებულებებში არსებული დასაქმების თანაბარი ხელმისაწვდომობის პირობებში, საქართველოს 166 საჯარო დაწესებულებების 74 532 თანამშრომლიდან უმრავლესობას წარმოადგენენ მამაკაცები.**

**მამაკაცთა რაოდენობა 52 679-ია, ხოლო ქალთა რაოდენობა - 21 853 -ს შეადგენს.**

„გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის“ იმავე მუხლის მიხედვით დასაქმებისას და შრომითი მოვალეობების შესრულებისას დასაშვებია სქესის ნიშნით პირთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ან/და მათთვის უპირატესობის მინიჭება, რაც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან. სწორედ აღნიშნულ გარემოებას უკავშირდება საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულებს შორის არსებული გენდერული დისბალანსი, **ვინაიდან საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ მამაკაცთა 66%-იანი მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია ძალოვან სტრუქტურებში მამაკაცების სიმრავლით**. 166 საჯარო დაწესებულებიდან, რომლებმაც სრულყოფილად წარმოადგინეს გენდერულ ჭრილში დასაქმებულ თანამშრომელთა შესახებ

ინფორმაცია, ძალოვან სტრუქტურებს წარმოადგენენ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სრული სისტემა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საქართველოს დაზვერვის სამსახური. ამ საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულია სულ 39 637 პირი, რომელთაგან 34 171 მამაკაცია, ხოლო 5 466 ქალი. **რაც შეეხება "არა ძალოვან" საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომლებს ამ შემთხვევაში 34 872 თანამშრომლიდან მამაკაცთა რაოდენობაა 18 508, ხოლო ქალთა რაოდენობა შეადგენს 16 387-ს.**




ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულ თანამშრომლების რაოდენობაში შესულია მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მონაცემები. რაც შეეხება საქართველოს თავადაცვის გაერთიანებულ შტაბში (საქართველოს შეიარაღებული ძალები) შემავალ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობას, აღნიშნული წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებულია

მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეთა პროცენტული მონაცემები გენდერული ჭრილში რაც გამოიყურება შემდეგნაირად:




საჯარო დაწესებულებების მიხედვით დასაქმებულთა გენდერული ბალანსი განსხვავებულია. სამინისტროების ცენტრალურ და სახელმწიფო მინისტრების აპარატებში დასაქმებულთა 78,6 % მამაკაცია. **თუმცა ამ ტიპის საჯარო დაწესებულებებში, დასაქმებულ მამაკაცთა მაღალი პროცენტი კვლავ განპირობებულია ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულ მამაკაცთა სიმრავლით.** ძალოვანი სტრუქტურების გარეშე სამინისტროების ცენტრალურ და სახელმწიფო მინისტრების აპარატებში დასაქმებულთა უმრავლესობა - 56,5%- ქალია. მსგავსი მდგომარეობაა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომლების მაგალითზე. ზოგადად, სსიპ-ებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში დასაქმებულთა შორის 67,2% მამაკაცია, თუმცა **ძალოვანი სტრუქტურების გამოკლებით დასაქმებულებში ქალები ჭარბობენ და მათი მაჩვენებელი 51,7 %-ს შეადგენს.**

**განსახვავებული მდგომარეობაა ადგილობრივ თვითმმართველობებში (მერია, გამგეობა). მიუხედავად იმ ფაქტისა რომ თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულ დაწესებულებებს ძალოვანი სტრუქტურები არ გააჩნიათ, მამაკაცთა რაოდენობა საგრძნობლად აღემატება ქალთა რაოდენობას. დასაქმებულ მამაკაცთა მაჩვენებელი 67,5%-ს შეადგენს.**

| დასაქმებულთა სტატიტიკა გენდერულ ჭრილში დაწესებულებების სახეების მიხედვით | | | | |
|---|---|---|---|---|
| **საჯარო დაწესებულების სახე** | | | | |
| | რაოდენობა | % | რაოდენობა | % |
| სამინისტროების ცენტრალური და სახელმწიფო მინისტრების აპარატები | 20 199 | 78,6% | 5 504 | 21,4% |
| **ძალოვანი სტრუქტურების გარეშე** | **1451** | **43,5%** | **1885** | **56,5%** |
| სსიპ-ები და საქვეუწყებო დაწესებულებები | 20 583 | 67,2% | 10 061 | 32,8% |
| **ძალოვანი სტრუქტურების გარეშე** | **7 938** | **48,3%** | **8 487** | **51,7%** |
| **ადგილობრივი თვითმმართველობები (მერია, გამგეობა)** | **7038** | **67,5%** | **3383** | **32,5%** |
| სხვა საჯარო დაწესებულებები | 4859 | 62,6% | 2905 | 37,4% |
| **ძალოვანი სტრუქტურების გარეშე** | **2066** | **44,1%** | **2624** | **55,9%** |

## ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ თანამშრომელთა გენდერული მდგომარეობა

საქართველოს საჯარო დაწესებულებებში ხელმძღვანელ პოზიციებზე (განყოფილების უფროსი და ზემოთ) დასაქმებული თანამშრომლების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მოგვაწოდა 168 საჯარო დაწესებულებამ. მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულია 9 250 პირი, რომელთაგან უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენენ. **ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებული მამაკაცების რაოდენობაა - 7245, ხოლო ქალების - 2005.**




საქართველოს საჯარო სამსახურებში დასაქმებულ თანამშრომელთა გენდერული ბალანსის ანალიზისას გამოჩნდა, რომ მამაკაცთა მაღალი პროცენტი ძირითად განპირობებული იყო ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულ მამაკაცთა სიმრავლით, ხოლო **არა ძალოვან** სტრუქტურებში ქალთა რაოდენობა თითქმის გათანაბრებული იყო მამაკაცთა რაოდენობასთან. აღნიშნული ტენდენცია ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ თანამშრომლების შემთხვევაში არ შეინიშნება. **ხელმძღვანელ მამაკაცთა რაოდენობა, როგორც ძალოვან, ისე არა ძალოვან საჯარო დაწესებულებში, ძალიან მაღალია.** ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ თანამშრომელთა შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია ზემოთ მოყვანილი ძალოვანი

სტრუქტურების გარდა ასევე მოწოდებულია საქართველოს თავდაცვის გენერალური შტაბის და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ.




საჯარო დაწესებულებების სახეების მიხედვით ნებისმიერ შემთხვევაში ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ მამაკაცთა რაოდენობა აღემატება ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ ქალთა რაოდენობას. **ძალოვანი სტრუქტურების ჩათვლით, ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ მამაკაცთა უპირატესობა (83,4%) განსაკუთრებით გამოჩნდა სამინისტროების ცენტრალურ და სახელმწიფო მინისტრის აპარატებში, ხოლო ძალოვანი სტრუქტურების გარეშე მამაკაცების ყველაზე მეტი პროცენტული მაჩვენებელი (76%) ფიქსირდება ადგილობრივ თვითმმართველობებში (მერია, გამგეობა).**

| ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ თანამშრომელთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში დაწესებულებების სახეების მიხედვით | | | | |
|---|---|---|---|---|
| **საჯარო დაწესებულების სახე** | | | | |
| | რაოდენობა | % | რაოდენობა | % |
| სამინისტროების ცენტრალურ და სახელმწიფო მინისტრების აპარატებში | 2 000 | 83,4% | 398 | 16,6% |
| **ძალოვანი სტრუქტურების გარეშე** | **389** | **59,1%** | **269** | **40,9%** |
| სსიპ-ებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში | 2861 | 79,2% | 798 | 21,8% |
| **ძალოვანი სტრუქტურების გარეშე** | **1567** | **69,3%** | **694** | **30,7%** |
| **ადგილობრივ თვითმმართველობებში (მერია, გამგეობა)** | **1848** | **76%** | **585** | **24%** |
| სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულები | **536** | **71,6%** | **223** | **29,4%** |
| **ძალოვანი სტრუქტურების გარეშე** | **356** | **62,9%** | **210** | **37,1%** |



საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 01-02/31621
19/04/2013

31621-01-02-2-201304191112

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს
მის: ა.მაჭავარიანის ქ. N4

ტელ: 2996364

ბატონო გიორგი,
განვიხილეთ თქვენი 2013 წლის 29 მარტის (OPD 03/13-055 ) განცხადება და გიგზავნით თქვენს მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციებს.

**ცენტრალური აპარატი**

- 2013 წლის 29 მარტის მდგომარეობით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

ცენტრალური აპარატში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში შეადგენს 121 მამაკაცს და146 ქალს.

- აღნიშნულ პერიოდში ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ

თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში შეადგენს 29 მამაკაცს და12 ქალს.

## დასაქმებულ თანამშრომელთა ასაკი გენდერულ ჭრილში

საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო ასაკის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მიღებულია 126 საჯარო დაწესებულების **31 207 თანამშრომელზე, რომელთაგან 17 479 მამაკაცია და 13 728 ქალი**. მიღებული მონაცემების გამოანგარიშებით ირკვევა, რომ დასაქმებულ მამაკაცთა და ქალთა საშუალო ასაკი დაახლოებით ერთმანეთის ტოლია და გამოიყურება შემდეგნაირად:




სხვადასხვა ტიპის საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ ქალთა და მამაკაცთა საშუალო ასაკი დაახლოებით ერთი და იგივე ნიშნულზე მერყეობს. სამინისტროების ცენტრალურ და სახელმწიფო მინისტრის აპარატებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში, ადგილობრივ თვითმმართველობებში (მერია, გამგეობა) მამაკაცთა საშუალო ასაკი მცირედით აღემატება ქალთა საშუალო ასაკს. ხოლო სხვა საჯარო დაწესებულებებში ქალთა საშუალო ასაკი 6 წლით აღემატება მამაკაცთა საშუალო ასაკს, რაც ძირითადად განპირობებულია საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში დასაქმებული მამაკაცთა სიმრავლით, რომელთა საშუალო ასაკი 31 წელია.

| საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო ასაკი დაწესებულებების სახეების მიხედვით | | |
|---|---|---|
| საჯარო დაწესებულების სახე | | |
| | საშუალო ასაკი | საშუალო ასაკი |
| სამინისტროების ცენტრალურ და სახელმწიფო მინისტრების აპარატებში | **38,7** | **38,4** |
| სსიპ-ებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში | **38,6** | **37,4** |
| ადგილობრივ თვითმმართველობებში (მერია, გამგეობა) | **39,8** | **39,3** |
| სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულები | **35,4** | **41,7** |

## მრავალშვილიანი თანამშრომლების სტატისტიკა გენდერულ ჭრილში

საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული 3 და მეტი შვილის მშობელთა შესახებ ინფორმაცია მიღებულია 151 საჯარო დაწესებულებიდან. **როგორც ირკვევა 64 348 თანამშრომლიდან 3 და მეტი შვილის მშობელი 5139 -ია , რომელთაგან მრავალშვილიანი დედაა 1144 , ხოლო მრავალშვილიანი მამა - 3995.**




**151 საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული მამაკაცებიდან 8,9% არის მრავალშვილიანი მამა, დასაქმებული ქალებიდან მხოლოდ 6,3% არის მრავალშვილიანი დედა.**



მრავალშვილიანობის ყველაზე მაღალი პროცენტი, როგორც მამაკაც ასევე ქალ საჯარო მოსამსახურეთა შორის ადგილობრივ თვითმმართველობებში (მერია, გამგეობა) ფიქსირდება.

| 3 და მეტი შვილის მშობელ თანამშრომელთა გენდერული ბალანსი დაწესებულებების სახეების მიხედვით | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საჯარო დაწესებულების სახე | | | | | | |
| | რაოდენობა | მამაკაცების %-ული წილი მრავალშვილიან თანამშრომლებში | მრავალშვილიანი მამაკაცების %-ული წილი დასაქმებულ მამაკაცებში | რაოდენობა | ქალების %-ული წილი მრავალშვილიან თანამშრომლებში | მრავალშვილიანი ქალების %-ული წილი დასაქმებულ ქალებში |
| **სამინისტროების ცენტრალურ და სახელმწიფო მინისტრების აპარატებში** | **1658** | **84,9%** | **8,2%** | **294** | **15,1%** | **5,3%** |
| **სსიპ-ებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში** | **1 478** | **75,9%** | **8%** | **469** | **24,1%** | **5,5%** |
| **ადგილობრივ თვითმმარველობებში (მერია, გამგეობა)** | **743** | **73,4%** | **12,2%** | **270** | **26,7%** | **9,2%** |
| **სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულები** | **116** | **51,1%** | **7,8%** | **111** | **48,9%** | **6%** |

ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ მონაცემებში ასახვა არ ჰპოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბიდან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებულმა მრავალშვილიან თანამშრომელთა შესახებ არსებულმა მონაცემებმა, ვინაიდან ხსენებულ დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომელთა სრული რაოდენობა ინსტიტუტისთვის უცნობია. აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებული მრავალშვილიანი მშობლების სტატისტიკა გენდერულ ჭრილში გამოიყურება შემდეგნაირად:






საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010131730144013

№40884

16 / აპრილი / 2013 წ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს

მის: ქ. თბილისი, ა. მაჭავარიანის ქ. №4

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლისა და მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, თქვენი აწლის 26 მარტის №OFD03/13-056 განცხადებასთან (რეგისტრაციის თარიღი: 29.03.2013; №01/41539) დაკავშირებით წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:

10. ცენტრალურ აპარატში დასაქმებულია 3 და მეტი შვილის მშობელი 2 მოსამსახურე (ორივე მამაკაცი).

11. 2008-2013 წლებში არცერთი ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა გათავისუფლებული თანამშრომლებისგან.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი წიქარ

# განთავისუფლებული თანამშრომლები

„საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის“ მიხედვით საჯარო მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. საჯარო მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზი შეიძლება იყოს:

- ✓ **მუხლი 94** - განთავისუფლება სამსახურის ვადის გასვლის გამო;
- ✓ **მუხლი 95** - განთავისუფლება საკუთარი ინიციატივის საფუძველზე;
- ✓ **მუხლი 96** - განთავისუფლება დაწესებულების ლიკვიდაციის გამო;
- ✓ **მუხლი 97** - განთავისუფლება შემცირებასთან დაკავშირებით;
- ✓ **მუხლი 98** - განთავისუფლება დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო;
- ✓ **მუხლი 99** - განთავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის;
- ✓ **მუხლი 100** - განთავისუფლება ხანგრძლივი შრომისუუნაროებისათვის;
- ✓ **მუხლი 101** - განთავისუფლება ასაკის გამო;
- ✓ **მუხლი 102** - განთავისუფლება მოხელის სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის გამო;
- ✓ **მუხლი 103** - განთავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის გამო;
- ✓ **მუხლი 104** - განთავისუფლება სამსახურში მიღებისას დადგენილი მოთხოვნების დარღვევისას;
- ✓ **მუხლი 105** - **განთავისუფლება სხვა დაწესებულებაში გადასვლის გამო**;
- ✓ **მუხლი 106** - განთავისუფლება მოქალაქეობის შეცვლის გამო;
- ✓ **მუხლი 107** - განთავისუფლება გარდაცვალების გამო;

საჯარო მოხელეთა განთავისუფლების ზემოთ მოყვანილი მიზეზებიდან ინსტიტუტისათვის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა პირადი განცხადების საფუძველზე და ხელმძღვანელობის ინიციატივით განთავისუფლებული თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია.

**2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 აპრილამდე** საქართველოს საჯარო დაწესებულებებიდან განთავისუფლებულ თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად მოწოდებული იქნა

166 საჯარო დაწესებულების მიერ. მიღებული მონაცემებით ამ პერიოდის განმავლობაში სულ **განთავისუფლებულია 21 506 საჯარო და სამხედრო მოსამსახურე**, რომელთაგან ხელმძღვანელ პოზიციას იკავებდა 2969 პირი. *(ინსტიტუტი ვარაუდობს, რომ საჯარო დაწესებულებებიდან განთავისუფლებულ თანამშრომელთა სიმრავლე განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მხრიდან შესაძლებელია მოწოდებულია არა უშუალოდ ზემოთ მოყვანილი მიზეზების შედეგად დაწესებულებიდან განთავისუფლებული თანამშრომლების შესახებ მონაცემები, არამედ შიდა როტაციის ან რეორგანიზაციის შედეგად სხვადასხვა პოზიციებზე გადანაწილებული თანამშრომლების მონაცემებიც.)* **განთავისუფლებული თანამშრომლებიდან ხელმძღვანელობის ინიციატივით განთავისუფლებულია 9797, ხოლო საკუთარი განცხადების საფუძველზე - 11 709 თანამშრომელი.**




**ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებული თანამშრომლების სამსახურიდან განთავისუფლება 1191 შემთხვევაში განხორციელდა ხელმძღვანელობის ინიციატივით, ხოლო 1778 შემთხვევაში საკუთარი განცხადების საფუძველზე.**




**2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 აპრილამდე** ყველაზე მეტი თანამშრომელი განთავისუფლებულია სამინისტროების ცენტრალური და სახელმწიფო მინისტრების აპარატებიდან - **8219 საჯარო მოსამსახურე**. სამინისტროების ცენტრალური და სახელმწიფო მინისტრების აპარატებიდან განთავისუფლებულთა დიდი რაოდენობა ძირითადად განპირობებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან განთავისუფლებულ თანამშრომელთა სიმრავლით - **6 915 საჯარო მოსამსახურე.** განთავისუფლებულ თანამშრომელთა სიმრავლით რიგით მეორეა საჯარო სამართლის იურიდიული პირები და საქვეუწყებო დაწესებულებები - **5125 საჯარო მოსამსახურე.** 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 აპრილამდე საქართველოს გაერთიანებული შტაბიდან (შეიარაღებული ძალები) განთავისუფლებულია **4 669 სამხედრო მოსამსახურე.** რაც შეეხება ადგილობრივ თვითმმართველობებს, აღნიშნულ პერიოდში განთავისუფლებული იქნა **2436 საჯარო მოსამსახურე.** საქართველოს სხვა საჯარო დაწესებულებებიდან განთავისუფლებულია **1057 საჯარო მოსამსახურე.**




საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეს შეუძლია ერთი თვის ვადაში მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით. აღნიშნული განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეს არ უზღუდავს ადმინისტრაციული საჩივრის გამოყენების ფორმას, რომელიც ეგზავნება უშუალოდ საჯარო დაწესებულებას.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ინსტიტუტი შეეცადა გამოერკვია, რამდენად ხშირად მიმართავენ განთავისუფლებული თანამშრომლები ადმინისტრაციულ საჩივრებს. როგორც მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, **2008-2013 წლებში განთავისუფლებული თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილი იქნა 164 შემთხვევაში, რომელთაგან განთავისუფლებული თანამშრომლების სასარგებლოდ დაკმაყოფილდა 44.**


2008-2013 წლებში განთავისუფლებული თანამშრომლების მიერ შეტანილი ადმინისტრაციული საჩივრები
27%
73%
დაკმაყოფილებული საჩივრები
დაუკმაყოფილებელი საჩივრები

## განთავისუფლებული თანამშრომლების სტატისტიკა გენდერულ ჭრილში

2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 აპრილამდე განთავისუფლებულ თანამშრომელთა უმრავლესობას წარმოადგენენ მამაკაცები - 17 905 , ხოლო განთავისუფლებულ თანამშრომელ ქალთა რაოდენობამ შეადგინა 3 601. განთავისუფლებულ თანამშრომელთა შორის მამაკაცთა დომინირება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ თანამშრომელთა 67% განთავისუფლებულია ძალოვანი სტრუქტურებიდან სადაც უმეტესად მსახურობენ მამაკაცები.

| 166 საჯარო დაწესებულებიდან განთავისუფლებული თანამშრომლები | | |
|---|---|---|
| მამაკაცი | 17 905 | 83,3% |
| ქალი | 3 601 | 16,7% |



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 846285 07 / 05 2013

0114, თბილისი, გ.გულუას ქ.10 ; ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (+995 32) 2411005
10, .G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.:(+995 32) 2411068 / Fax: (+995 32) 2411005

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის
დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს
მისამართი: თბილისი, ა. მაჭავარიანის ქ. N4

ბატონო გიორგი,

თქვენი მიმდინარე წლის NOPD03/13-060 განცხადების პასუხად წარმოგიდგენთ 2012 წლის პირველი იანვრიდან აღნიშნული განცხადების მიღებამდე შს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებში რეგისტრირებულ სტატისტიკურ მონაცემებს:

- დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა სულ შეადგენს - 22027 პირს. აქედან, მამაკაცი - 18567, ქალი - 3460;
- ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულთა რაოდენობა სულ შეადგენს - 1652 პირს. აქედან, მამაკაცი - 1554, ქალი - 98;
- გათავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს - 5566 თანამშრომელს. აქედან, მამაკაცი - 5049, ქალი - 517;
- ხელმძღვანელი პოზიციებიდან გათავისუფლებულ იქნა - 489, მათ შორის მამაკაცი - 469, ქალი -20;
- პირადი პატაკის საფუძველზე დათხოვნილ იქნა შს სამინისტროს - 1349 თანამშრომელი, აქედან, მამაკაცი - 1208, ქალი - 141;
- პირადი პატაკის საფუძველზე ხელმძღვანელი პოზიციებიდან გათავისუფლდა - 283 თანამშრომელი, მათ შორის მამაკაცი - 278, ქალი -5;

რაც შეეხება ხელმძღვანელი პოზიციებიდან განთავისუფლებულ თანამშრომლებს, ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებლით არიან წარმოდგენილი მამაკაცები. **ხელმძღვანელი პოზიციებიდან განთავისუფლებულია 2542 მამაკაცი და 427 ქალი.**

| 166 საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი პოზიციებიდან განთავისუფლებული თანამშრომლები | | |
|---|---|---|
| მამაკაცი | 2542 | 85,6% |
| ქალი | 427 | 14,4% |

